ხელშეკრულება №32
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 27 ოქტომბერი 2016 წ.

სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო", შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის გიორგი ტატიშვილის სახით, და შპს „კია მოტორს ჯორჯია", წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ბაჩიაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. „მხარე" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
5. „მხარეები" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი **სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო"**

მიმწოდებელი **შპს „კია მოტორს ჯორჯია"**

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი“ ნიშნავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში არა უმეტეს 5 წლის წლოვანების (კია სორენტო, სახ. ნომერი VVU-731) ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების და საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო შესყიდვა **დანართი №1**-ის შესაბამისად. (CPV-50112200).

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2016 წლის 27 ოქტომბრიდან - 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი – ქ. თბილისი, მიმწოდებლის სერვის ცენტრი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1 000.00 (ერთი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. თითოეული ტექნიკური მომსახურების და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების და საცხებ-საპოხი მასალის ღირებულება მითითებულია **დანართი №1**-ში.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი

5.3 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

5.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 7. ხარისხი

7.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

მუხლი 8. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

8.1 გაწეული მომსახურება დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) გაწეულ მომსახურებაზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.

მუხლი 9. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და მიაწოდოს აღნიშნული მომსახურებისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილები და საცხებ-საპოხი მასალები;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 11. ხელშეკრულების დადების საფუძველი

11.1 ხელშეკრულების დადების საფუძველი არის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მესამე პუნქტის „თ"ქვეპუნქტი.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 27 ოქტომბრიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 13. ინტერესთა კონფლიქტი

13.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს,

რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

14.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

14.3 დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

14.4 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"
სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო"
საიდ. კოდი 206351749
ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2

სააგენტოს უფროსი
გიორგი ტატიშვილი

„მიმწოდებელი"
შპს „კია მოტორს ჯორჯია"
საიდ. კოდი: 236096675
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-2 კმ.
ბანკის დასახელება: ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE55BG0000000221862100

დირექტორი
მიხეილ ბაჩიაშვილი

დანართი N1

KIA SORENTO

№	ავტონაწილების/მომსახურების ფასები	განზომილება	ერთეულის ფასი	მომსახურების ფასი
1	ძრავის ზეთი (სინთეტიკური)	1ლ.	20	
2	ზეთის ფილტრი	1ც.	20	12
3	ჰაერის ფილტრი	1ც.	40	4
4	სალონის ფილტრი	1ც.	70	12
5	წინა სამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	300	18
6	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	207	18
7	თვლების ნახარის რეგულირება			48
8	ანტიფრიზი	1 ლ.	12	12
9	წინა ფარის ნათურა	1ც.	20	6
10	უკანა ფარის ნათურა	1ც.	5	3
11	სანისლე ფარის ნათურა	1ც.	25	12
12	საბურავის დისკის გასწორება	1ც.		12
13	საბურავის დისკის ბალანსირება	1ც.		12
14	საბურავის დაშლა-აწყობა ბალანსირება	1ც.		12
15	საქარე მინის საწმენდი	1ც.	50	2
16	ცეპლენიის პლიტა	1ც.	272	236
17	ცეპლენიის დისკი	1ც.	356	236
18	ცეპლენიის საკისარი	1ც.	87	236
19	კოლოფის ზეთი 1 ლიტრი	1ლ.	50	36
20	აკუმულიატორი	1ც.	200	6
21	ანთების სანთელი	1ც.	25	6
22	წინა ამორტიზატორი	1ც.	355	48
23	უკანა ამორტიზატორი	1ც.	304	36
24	ამორტიზატორის სამაგრი	1ც.	111	48
25	სუხოის რეზინა	1ც.	15	48
26	სტერჟინი	1ც.	128	12
27	საჭის მექანიზმი	1ც.	2679	177
28	საჭის მექანიზმის ღერძი	1ც.	318	72
29	ნაკანეჩნიკი	1ც.	61	12
30	უდარნი	1ც.	78	12
31	უდარნის პილნიკი	1ც.	32	24
32	ძრავის სამაგრი	1ც.	362	48
33	შარავოი	1ც.	108	24
34	რაზვალნი ვტულკა	1ც.	62	36
35	ყუმბარა	1ც.	1182	72
36	ყუმბარის სალნიკი	1ც.	29	72
37	წინა სტუპიცის საკისარი	1ც.	182	48
38	უკანა სტუპიცის საკიარი	1ც.	336	48
39	საბურავი დისკის ბოლტი	1ც.	16	2
40	საბურავის დისკის გაიკა	1ც.	20	48
41	დინამოს ღვედი	1ც.	159	36
42	აბს-ის დაჩიკი	1ც.	181	36
43	შუქის ჩამრთველი	1ც.	111	59
44	საჭის შლეიფი	1ც.	204	59
45	ბაბინა	1ც.	159	24
46	ბენზონასოსი	1ც.	595	118
47	წყლის ამოსასხმელი პლასმასი	1ც.	14	12

48	წინა საყრდენი დისკი	1ც.	319	18
49	უკანა საყრდენი დისკი	1ც.	318	36
50	ჩასაფენი რეზინი	კომლექტი		70
51	სიგნალი	1ც.	77	24
52	სპიდომეტრის ამთვლელი სენსორი	1ც.	101	59
53	ელ. სისტემის დიაგნოსტიკა	1ც.		36
54	გიტარა	1ც.	525	36
55	კონდენციონერის კომპრესორის მაგნიტი	1ც.	177	118
56	კონდენციონერის კომპრესორის რგოლი	1ც.	326	118
57	ძრავის უკანა სალნიკი	1ც.	85	590
58	შუშის ასაწევი ღილაკები	კომპლ.	282	59
59	წყლის ავზი	1ც.	238	59
60	გასაღების ბუდე	1ც.	318	118
61	გასაღების კონტაქტორი	1ც.	140	118
62	სელექტორი	1ც.	140	118
63	კონდენციონერის კომპრესორი	1ც.	2833	118
64	რადიატორი	1ც.	972	236
65	რადიატორის პროპელერი	1ც.	739	236
66	გენერატორი(დინამო)	1ც.	1792	118
67	გენერატორის ღვედის დამჭიმი გორგოლაჭი	1ც.	344	118
68	კარის მინის ამწე	1ც.	404	118
69	თერმოსტატი	1ც.	40	36
70	სამუხრუჭე ავზი	1ც.	12	36
71	კონდიციონერის დატუმბვა	100გრ.		12

შემსყიდველი:

სსიპ "ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო"
საიდ. კოდი: 206351749

სააგენტოს უფროსი:
გიორგი ტატიშვილი

მიმწოდებელი

შპს "კია მოტორს ჯორჯია"
საიდ. კოდი: 236096675

დირექტორი:
მიხეილ ბაჩიაშვილი